№ 275 ⠀ მთავრობის მოამბე ⠀ ყოველდღიური გაზეთი ⠀ წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. ⠀ პარასკევი, დეკემბრის 3 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120-მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81.

ქიზიყ-კახეთის სავაჭრო-სამრეწველო

და

სასოფლო სამეურნეო ბანკის

(ქალ. სიღნაღში) საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ

ამა წლის 19 ნოემბერს

ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა.

ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული **20 (ოცი) მილიონი მანეთით,** თითო აქცია ღირს ათასი (1000) მანეთი ხუთი აქცია აძლევს ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების ნახევარი (500 მანეთი) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად ერთ დროულად ასი (100) მანეთი აქციაზე.

ხელის მოწერა მიიღება: 1920 წლის დეკემბრის 6 (ორშაბათი), 7 (სამშაბათი), 8 (ოთხშაბათი), 9 (ხუთშაბათი), 10 (პარასკევი) და 11 (შაბათი).

ქალაქ სიღნაღში: საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში

ქალაქ ტფილისში: „ცენტრობანკში“ (პუშკინის ქ. 3) და „ელზორკაში“ (პლეხანოვის პრ. № 5) სოფ. გურჯაანში, ველისციხეში, ჯუგაანში, და ქვემო-მაჩხაანში საკრედიტო ამხანაგობებში.

საორგანიზაციო კომიტეტი იმავე აცხადებს, რომ

აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება

დანიშნულია 26 დეკემბერს 1920 წელს სიღნაღის ახალ კლუბის დარბაზში ნაშუადღევის 12 საათზე.

განსახილველი საკითხები:

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება, 2. სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასივის მიღება, 3. 1921 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, 4) არჩევნები საბჭოს გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 5. მიმდინარე საკითხები.

1013 ⠀ 3—2 ⠀ **საორგანიზაციო კომიტეტი.**

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

პარასკევს 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა

„დაისი“

შაბათს 4 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის „მარგალიტის მაძიებელნი“, კვირას 5 დეკემბერს „ქეთო და კოტე“, ორშაბათს, 6 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. ⠀ 1002 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

ხუთშაბათს, დეკემბრის 2-ს მეორეჯერ

„ზღვასთან“

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ⠀ რეჟისერი მ. ქორელი.

შაბათს, დეკემბრის 4-ს პირველად ქართულ ენაზე ორიგინალური ტრაგედია

„მერდო-ზმანია“ ალ. შანშიაშვილისა.

ახალი დეკორაციები ტანისამოსი მხატვ. ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

მუსიკა დ. არაყიშვილისა ⠀ **ბალეტი და ხორო.**

რეჟისორი ალ. ახმეტელი.

ბილეთები კასაში.

1012 ⠀ 2—2

ტფილისის მეორე საურთიერთო ნდობის საზოგადოების მმართველობა

ამით აუწყებს, რომ დეკემბრის 6-ს ამა 1920 წ. 2 ს. საზოგადოების კონტორაში

საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

დარჩენილი გამოუსყიდავი და დაზიანებული ბეწვეული, ქუდები და უბის წიგნაკები.

400 ⠀ 2—2

ცენტრალური სავაჭრო სამრეწველო

ბანკი

ამით აცხადებს,

რომ 6 დეკემბერს დილის 12 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

მირაოდ მიღებულ საქონელზე შემდეგი სესხებით:

№№ 141, 184, 198, 223, 227, 204, 256, 136, 268, 248, 131, 115, 220.

ცენტრობანკის გამგეობა.

1017 ⠀ 2—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.

30 ნოემბერი, 1920 წ., № 472.

დათხოვნილია: სრულიად სამსახურიდან თანახმათ თხოვნისა სახელმწიფო კონტროლის ფოთის განყოფილების კანცელარიის მოხელე მიხეილ ნიკოლოზის ძე მიმინოშვილი ა. წ. 26 ნოემბრიდან.

1 დეკემბერი, 1920., № 474.

ვიზიარებ რა 1920 წლის 24 ნოემბრის საერთო საკრებულოს დადგენილების 3 მუხლში გამოთქმულ აზრს, რევიზორ ვაწაძის შესახებ, რომელიც შეეხება იმას რომ რევიზორმა ვაწაძემ ბათომის განყოფილების გამგის საოლქო კონტროლიორის ნება დაურთველად 7 ოქტომბრიდან თავის ნებით დასტოვა სამსახური საოლქო კონტროლში რისგამოც სახელმწიფო კონტროლმა 1 ნოემბერს გაუგზავნა ვაწაძეს უწყება გამოცხადებულიყო კონტროლში, რაზედაც შინამყოფელებმა უპასუხეს, რომ ვაწაძე ავად არის და მორჩენისთანავე გამოცხადდება კონტროლში, მხოლოდ სპეციალურად გაგზავნილ კონტროლის ექიმის მოწმობიდან კი აღმოჩნდა, რომ ვაწაძე ავად კი არ იყო არამედ თავის საკუთარ საქმეების გამო გამგზავრებულიყო ყაზბეგში; და მასთან ვილებ რა მხედველობაში, რომ რევიზორ ვაწაძეს არა სურს დაემორჩილოს ჩემს ბრძანებას ემსახურებია ბათომის საოლქო კონტროლში,—ვბრძანებ: რევიზორი ერასტი სპირიდონის ძე ვაწაძე

სრულიად დათხოვნილ იქნას სამსახურიდან ა. წ. 7 ოქტომბრიდან.

№ 475.

გიზარებ რა 1920 წლის 24 ნოემბრის საერთო საკრებულოს დადგენილების 4 მუხლში გამოთქმულ აზრს რევიზორის თანაშემწე დავით აღლაძის შესახებ, რომელიც შეეხება იმას, რომ რევიზორის თანაშემწემ აღლაძემ ნებადაურთველად დასტოვა სამსახური და მსახურებს კახეთის მეცხვარეთა საზოგადოებაში, ვბრძანებ რევიზორის თანაშემწე დავით გიორგის ძე აღლაძე დათხოვნილ იქმნას სრულიად სამსახურიდან თხოვნის შემოუტანლად სამსახურიდან გასვლის შესახებ ა. წ. 11 ნოემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობის აღმასრულებელი: **კ. ანდრონიკაშვილი.**

არა ოფიციალური განყოფილება.

სამხედრო მინისტრისაგან

№ 4793.

მეორე ქვეითა ბრიგადის უფროსს, სანაპირო ჯარის უფროსს, საინჟენერო-სატეხნიკო ჯარის უფროსს, საარმიო-საartილერიო დივიზიონის უფროსს, სადარაჯო ათასის თავს, სამხედრო სამინისტროს კანცელარიის უფროსს, სამხედრო სამნეო კომიტეტის თავმჯდომარეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორს, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარეს, ქალ. ტფილისის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, ტფილისის მაზრის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, ქალ. ტფილისის მოუ რავს, ტფილისის სამაზრო უბნის თავმჯდომარეს.

დამატებათ ამა წლის 17 სექტემბრიდან, № 3755, ჩემი დეპეშისა ვბრძანებ:

1) განთავისუფლებულ იქნან სასწავლო ყრილობაზე გაწვევისაგან თადარიგში გადარიცხვით ამა წლის 1 დეკემბერს ყველა 1896 წელში დაბადებულნი ის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც გამოცხადდენ სათანადო მხედრიცხვუფებთან ამა წლის 10 აგვისტოს შემდეგ. დღეს იმყოფებიან სამხედრო ერთეულებში და შესრულებული აქვთ კანონით დადგენილი სასწავლო ყრილობის 6 კვირის ვადა; 2) აღნიშნული კატეგორიის ჯარისკაცთა დათხოვნა მოხდეს იმავე წესრიგით, რომელიც მიღებული იყო სასწავლო ყრილობაზე ათ აგვისტომდის გამოცხადებული ჯარის კაცთა დათხოვნის დრო; 3) განთავისუფლებულ ჯარის კაცთა სრული სახელობითი სია და სამსახურის ნუსხების ჩამონაბერი № 2, დაუყონებლივ გადაეგზავნოს სათანადო მხედრიცხვუფს, 4) განთავისუფლება ყველა იმ ჯარის კაცთა, რომლებიც იმყოფებიან სამხედრო ერთეულებში და ასრულებენ 6 კვირის ვადას, პირველ დეკემბერს შემდეგ მოხდეს ერთეულთა უფროსების განკარგულებითა და მათი სრული პასუხისმგებლობის ქვეშ; 5) ყველა 1896 წელში დაბადებულნი ის სათადარიგო ჯარის კაცნი, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო ჯერ არ ყოფილან სასწავლო ყრილობაზე აუცილებლად გაიგზავნონ მხედრიცხვუფთა მიერ უმახლობელეს სამხედრო ერთეულებში ყრილობის გასავლელად და არც ერთ მათგანს არ უნდა აცდეს ყრილობაზე გაწვევა; 6) ამ დეპეშის მიღება მომხსენდეს გენშტაბის საშუალებით.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

დამფუძნებელი კრება

1 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ხ. მდივანი.**

ეს სხდომა კონსტიტუციის განსახილველად იყო მოწვეული. ეს მეორე სხდომაა. პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ჰ. საყვარელიძის საერთო მოხსენება კონსტიტუციის პროექტის შესახებ. ამ სხდომაზე კი მოხდა საერთო მსჯელობა.

საერთო მსჯელობის წინ განხილულ იქნა დაშნაკცუტიუნის ფრაქციის წინადადება, რომ მათ ნება დართონ სომხურ ენაზე ლაპარაკისა დამფუძნებელ კრებაში. ამ საკითხის შესახებ სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით **ა. ჩხენკელი** აცხადებს, რომ ენის საკითხი პარლამენტში ერთობ რთულია არსებითად და ტეხნიკურად ძნელი. რას თხოულობს დაშნაკცუტიუნის პარტია?—ის თხოულობს, რომ მათ ნება მიეცეს სომხურ ენაზე ილაპარაკონ აქ, დამფუძნებელ კრებაში. ამ ენის საკითხის შესახებ ჩვენ გვქონდა მსჯელობა და სათანადო მუხლი კიდევაც შეტანილია კონსტიტუციის პროექტში. ახლა კი ამოგლეჯა კონსტიტუციის პროექტიდან ამ მუხლის და მისი ცალკე წინასწარ განხილვა მიუღებელია. ამ მუხლამდე ჩვენ მივალთ და მაშინ გადავსწყვეტთ ამ საკითხს. ხოლო კონსტიტუციის განხილვის დროს ჩვენი ფრაქციის აზრით, დაშნაკცუტიუნის ფრაქციის წევრებს უნდა მიეცეს უფლება იმ ენაზე ლაპარაკისა, რომელიც ესმის პრეზიდიუმს. რამდენადაც ვიცით, პრეზიდიუმმა არ იცის სომხური ენა და ცხადია, მას არ შეუძლია ორატორის სიტყვის დროს რეგლამენტის დაცვა და სხვა. ამიტომ დაშნაკცუტიუნის წინადადება ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სომეხ დეპუტატებს, აგრეთვე სხვა წევრებს დამფუძნებელ კრებისა, რომლებმაც არ იციან ქართული ენა, ნება უნდა მიეცეს რუსულ ენაზე ლაპარაკისა კონსტიტუციის განხილვის დროს.

გ. გვაზავა (ნ. დ.) აღნიშნავს, რომ სოც. დემ. ფრაქციის გადაწყვეტილება სრულებით არ არის პასუხი დაშნაკელების ფრაქციის წინადადებაზე. დაშნაკელების ფრაქცია თხოულობდა, რომ მათ მიეცემოდა ნება დედა-ენაზე ლაპარარაკისა, სოც. დემ. ფრაქცია კი ეუბნებ, რომ თქვენ რუსულ ენაზე ილაპარაკეთო. არსებითად კი მათი წინადადება მიუღებელია, როგორც ტეხნიკურად ისე პრინციპიალურად, ტეხნიკურად მათი წინადადების განხორციელება მიუხერხებელია, რადგანაც ის მოითხოვს თარჯიმანების ყოლას. ეს კი არც ერთ პარლამენტში არ არის მიღებული ამას ვერც ჩვენ მივიღებთ- პრინციპიალურად იმიტომ არის დაშნაკელების წინადადება მიუღებელი, რომ ის არღვევს სახელმწიფოებრივ მთლიანობას, სახელმწიფოს ინტერესს, ამიტომ ჩვენ წინააღმდეგი ჩვენ წინააღმდეგი ვართ, როგორც დაშნაკელების წინადადების, ისე სოც. დემ. ფრაქციის გადაწყვეტილებისა.

ხ. დადიანი. იმ შუამდგომლობის საპასუხოთ რომელიც აქ შემოტანილია დაშნაკცუტუნის ფრაქციის მიერ, სოც.-ფედერალისტთა ფრაქცია აცხადებს, რომ მას (ფრაქციას) შესაძლებლად მიაჩნია ყველა დეპუტატს მიეცეს უფლება ილაპარაკოს თავის დედა-ენაზე. ჩვენს ფრაქციას სოც.-დემოკრატიული ფრაქციის გადაწყვეტილება მიუღებლად მიაჩნია.

ტერ ხტეფანიანი (დაშნაკ.) აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის პროექტის განხილვას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ყველას უნდა მიეცეს საშუალება ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელზედაც შეუძლია. სომხის დემოკრატია საქართველოში ასრულებს ყველა იმ მოვალეობებს, რასაც ასრულებს ქართველი დემოკრატია და ამიტომ მას (სომხის დემოკრატიას) მოვალეობასთან ერთად უფლებებიც უნდა მიეცეს. ჩვენ ვიცავთ ჩვენ მიერ შემოტანილ წინადადებას.

ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა სოც. დემოკრატიული ფრაქციის წინადადება.

კონსტიტუციის პროექტის შესახებ საერთო მსჯელობისათვის პირველ სიტყვას ამბობს მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ჟორდანია (ნ. ჟორდანიას სიტყვას შემდეგ დავბეჭდავთ), ნაც. დემოკრატიული ფრაქციის სახელით სიტყვას ამბობს **გ. გვაზავა.**

გ. გვაზავას სიტყვა. ჩვენ მთელი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ შიგნით თავისუფლების გაფართოებას და გარეთ სიმტკიცის უზრუნველყოფას. მარტო გამოცხადება არაფერს არ ნიშნავს, არაფერს ნიშნავს აგრეთვე მარტო ლოზუნგების გადასროლა. სახელმწიფოს შექმნისათვის ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს ტერიტორიის სიდიდეს და მცხოვრებთა რაოდენობას. უფრო საჭიროა ფსიქოლოგიური მომენტი, შეგნება, შეგნება უფლებებისა. ასეთი შეგნება საქართველოში არის. ჯერ კიდევ მე-12 ე საუკუნეში საქართველოში იყო ერთგვარი კონსტიტუციონალური მოძრაობა. საქართველოში კონსტიტუციონალური მოძრაობა ინგლისზე უფრო ადრე დაიწყო. მე საჭიროდ და მიზან შეწონილად მიმაჩნია თქვენი ყურადღება ცოტა ხნით შევაჩერო ევროპის და ამერიკის შორეულ წარსულზე:

20—25 საუკუნოს წინათ ინდოეთში, სპარტაში და სხვ. სახელმწიფო დამყარებულ იყო კასტობრივ, ანუ კლასობრივ დაყოფაზე. ყოველ კასტას ქონდა განსხვავებული უფლებები. პიროვნება სავსებით გაბჭრალი იყო. პოლიტიკური უფლებები ჰქონდა მაღალ კლასებს. უნდა აღინიშნოს, რომ მაღალ კლასებს ხშირად სამოქალაქო უფლებები არ ქონდათ. ახლა როგორ არის საქმე ევროპაში და ამერიკაში? იქ ახლა წოდება გაუქმებულია. იქ ახლა არის უფლებრივი სახელმწიფო. რით ხასიათდება უფლებრივი სახელმწიფო?

უფლებრივი სახელმწიფო ხასიათდება იმით, რომ პოლიტიკური, საჯარო და სამოქალაქო უფლება ეკუთვნის ყველას, თითეული მოქალაქე უფლებრივად გათანასწორებული გახლავთ. კონსტიტუციის შექმნის დროს ჩვენს ხანაში კლასობრივ დაყოფას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენს დროში გამოდის ადამიანი, როგორც მატარებელი უფლებისა, როგორც სუბიეკტი უფლებისა. მე ვერ წარმომიდგენია ისეთი კონსტიტუცია, რომელიც მდიდარს წაართმევს ხმას. დღეს, როგორც ვსთქვი სუბიეკტი უფლებისა არის ადამიანი, მდიდარია ის თუ დარიბი, ქალია თუ კაცი. ეხლანდელ დროში ასპარეზზე გამოსულია პიროვნება და ის მატარებელია საჯარო უფლებებისა.

შემდეგ ორატორი ეხება ხელმწიფების საკითხს და აღნიშნავს, რომ აუცილებლად საჭიროა ხელმწიფება ხალხს ეკუთვნოდეს. ეს აღიარებულია კონსტიტუციის პროექტში და ამას ჩვენც ვიზიარებთ. რაც შეეხება ხელის უფლების დანაწილებას, ეს ყოველგან მიღებულია პრინციპიალურად. ტყუილად შიშობს მომხსენებელი, რომ ხელის უფლების დანაწილება გამოიწვევს სახელმწიფოს მთლიანობის დაშლასო. ამერიკაში არის ეს გატარებული, მაგრამ სახელმწიფო არ დაშლილა. ჩვენს პროექტში ეს არეულად არის. რაც შეეხება პარლამენტს და მის უფლებებს, მე ვიზიარებ ჩვენი პროექტის დებულებებს ამ საკითხის შესახებ. მხოლოდ ერთი შესწორება უნდა იქნას შეტანილი. პარლამენტს აქვს კითხვის, შეკითხვის უფლება და არა აქვს ანკეტის, გამოძიების უფლება. პარლამენტს ამ უკანასკნელის—ანკეტის უფლებაც უნდა ქონდეს. რაც შეეხება ხელის უფლების აწყობას, მე ამის შესახებ ვიზიარებ ნ. ჟორდანიას დებულებებს. გარდა ამისა, რაც შეეხება პრეზიდენტს მე ვიცავ პრეზიდენტის სისტემას. პრეზიდენტის ფუნქციები, ნ. ჟორდანიამ მთავრობის თავმჯდომარეს დააკისრა. მე კი ვიცავ პრეზიდენტის ხალხის მიერ არჩევას. ამ შემთხვევაში ჩვენ არ გამოგვადგება, როგორც ეს ჟორდანიამ სთქვა, შვეიცარიის მაგალითი, არ გამოგვადგება ორი მოსაზრებით. ერთი იმიტომ, რომ შვეიცარიაში კანტონებს შორის არის ქიშპობა. კანტონები ერთმანეთს ედავებიან. მინისტრების შესახებ არ შეიძლება ერთი კანტონიდან ორი მინისტრი იყოს მით უმეტეს ეს ქიშპობა თავს იჩენდა პრეზიდენტის არჩევის დროს. მეორეს მხრივ შვეიცარიის ნეიტრალიტეტი აღიარებულია ყველა სახელმწიფოების მიერ და ამიტომ შვეიცარიის მთავრობა შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქმიანი და იქ შესაძლებელია უპრეზიდენტობა. ჩვენში კი სხვა პირობებია. ჩვენში სხვა და სხვა კუთხეებს შორის ქიშპობა არ არის ჩვენში, არავინ არ იტყვის, რატომ არის ორი გურული, ან ორი მეგრელი მინისტრათო. ჩვენში სხვანაირია აგრეთვე საგარეო პირობები. ჩვენ ირგვლივ შტერი გვასევია და ამიტომ საჭიროა ერთი კაცი, რომელიც მუდამ ფხიზელი დარაჯი იქნება რესპუბლიკისა. ამიტომ საჭიროა არჩეულ იქნას ხალხის მიერ პრეზიდენტი და ის აირჩევს პირველ მინისტრს, რომელიც შემდეგ კაბინეთს შეადგენს. ჩვენი კონსტიტუციის პროექტში არის ერთნაირი ულოგიკობა. პარლამენტი ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს, უკანასკნელი ადგენს კაბინეთს ხოლო პასუხისმგებლობა არის როგორც მთლიანად, ისე პიროვნულად. მინისტრები არ არიან არჩეულნი პარლამენტის მიერ და მაინც პასუხისმგებელნი არიან. ეს ულოგიკობა აცილებულია შვეიცარიის კონსტიტუციაში, იქ პარლამენტი ირჩევს მინისტრებს.

გარდა ამისა უნდა იყოს დეცენტრალიზაცია, როგორც აღმასრულებელი ძალა უფლებისა, ისე კანონმდებლობისა (საყვარელიძე: ეს გნებავთ თქვენ?) კანონმდებლობა ადგილობრივ საჭიროების მიხედვით უნდა იყოს. (ხმა: კანონმდებლობა?) დღეს ჩვენში ეს თიტქმის გატარებულია, ერობებს გამოაქვთ დადგენილებანი ადგილობრივი საქმეების შესახებ. (საყვარელიძე: დადგენილება ერობისა და კანონმდებლობა ერთი და იგივე არ არის).

რაც შეეხება ადმინისტრაციას აქ უნდა იყოს მკაცრი, მტკიცე დისციპლინა. რაც შეეხება შინაურ ცხოვრებას, ეს უნდა იყოს თავისუფალი. რაც ნაკლებათ ჩაერევა სახელმწიფო შინაურ ცხოვრებაში, მით უკეთესია, რაც შეეხება ვაჭრობას, მრეწველობას, მუშაობას აქ მით უკეთესია სახელმწიფოსთვის, რაც უფრო ნაკლებათ ჩაერევა ის ამაში.

პროექტში ნათქვამია, რომ ჯარის გამგებლობა ეკუთვნის პარლამენტსო. ეს მიუღებელია. ჯარის გამგებლობა უნდა იყოს პრეზიდენტის ხელში. არის კიდევ ერთი დიდი საკითხი, ვინ უნდა განმარტოს ესა თუ ის კანონი ეთანხმება თუ არა კონსტიტუციას. აქ მე ვერ დავეთანხმები მომხსენებელს. კონსტიტუციის განმარტების უფლება უნდა ჰქონდეს სენატს, სასამართლოს და არა ხალხს როგორც ეს მომხსენებელმა სთქვა.

(შემდეგი იქნება)

ბათოუმის გარშემო

ნოტა საქართველოს წარმომადგენელისა მოსკოვში, რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს.

მოწყალეო ხელმწიფევ! შინაარსი თქვენი ნოტისა ნოემბრის 16-ის თარიღით უკვე გადავეცი ჩემს მთავრობას, რომელიც არ დააყოვნებს პასუხი მოგცესთ საქმის ფაქტიური მხარის შესახებ.

ამ ჟამად კი, როგორც წარმომადგენელი საქართველოს მთავრობისა, ვალად ვრაცხ თავს განგიცხადოთ თქვენ, მოქალაქე სახალხო კომისარო, რომ საქართველოს და საქართველოს მთავრობას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ აიღონ პასუხის-მგებლობა გარეშე ძალთა გარდაწყვეტილებისათვის ბათომის საკითხის შესახებ.

რუსეთის საბჭოთა მთავრობამ კარგად უწყის, როგორ აღგვილა და რამდენი მსხვერპლი გაუღია საქართველოს ბათომის დასაბრუნებლად და როგორ ელოდა იგი ამ საკითხის გადაწყვეტას.

ბათომის გადმოცემის დღე ერთი უდღესასწაულესი დღეთაგანი იყო საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში.

სამწუხაროდ იმ ვითარებამ, რომელიც დღეს კავკასიაში გაიშალა, საბაბი მისცა გარეშე ძალებს დაესვათ საკითხი ამიერ-კავკასიის საქმეებში ჩარევისა.

ნახევარი სომხეთის დაპყრობამ ოსმალეთის ჯარებისაგან და მათი წინსვლამ საქართველოს საზღვრებისაკენ, ამიერ-კავკასია დიდი საშიროების წინ დააყენეს. ზოგიერთმა ბნელმა ელემენტმა, როგორც შიგ საქართველოში, ისე მის გარეთა გააცხოველეს თავისი მოქმედება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რადგან ოსმალეთის და მის მოკავშირეთა იმედით იყვნენ გაცხოველებულნი.

რომ ქვეყანა შემოსევის საშინელებისაგან იხსნას, საქართველო იძულებულია სამუშაოსაგან მოხსნას მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი ხალხისა და იარაღის ქვეშ დააყენოს.

საქართველო იცავდა და დაიცავს თავის დამოუკიდებლობას და ნეიტრალიტეტს, საიდანაც კი არ უნდა ემუქრებოდენ მას და ჩვენ გვსურს, რომ ამ საქმეში იმედი გვქონდეს დახმარებისა რუსეთის მხრივ, რომელთანაც ხელშეკრულება გვაქვს დადებული და მასთან შეგობრობისათვის ყოველ მხრივ ვიღწვით.

ჩვენდა სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა ყოველთვის ამ მხრივ არ იყო მიმართული.

აზერბაიჯანში საბჭოთა მთავრობის გამოცხადების ექვსი თვის განმავლობაში, ნავთის მოწოდების შეწყვეტა იწვევს სარკინისგზო მოძრაობის შეჩერებას, ასუსტებს საქართველოს ძალას თავდაცვის საქმეში. რომ ჩვენ არ გაგვეწია ქვა-ნახშირის დიდი თადარიგი, საქართველოს დიდი გაჭირვება დაადგებოდა და ქვა-ნახშირზე გადაყვანამ ყველა სამოძრაო ძალების, გამოიწვია დიდი შრომა და ძალების დახარჯვა, რომელიც ჩვენ შეგვეძლო უფრო ნაყოფიერად გამოგვეყენებია.

საქართველო სრულებით დაინტერესებული არ არის საბჭოთა მთავრობას მიაწეროს პასუხის გება იმ ვითარების გამო, რომელიც ამიერ-კავკასიაში იშლება დღეს საქართველოს ხალხის და მისი მთავრობის დამოუკიდებლივ.

მე შემიძლია დავარწმუნოთ თქვენ, მოქალაქე სახალხო კომისარო, რომ საქართველო ყოველ მხრივ შეეცდება ყველა საკითხის მშვიდობიან გადაწყვეტისათვის და გვაქვს იმედი, რომ საბჭოთა მთავრობაც მიიღებს ყველა მისგან დამოკიდებულ ზომებს მშვიდობიანობის დასამყარებლად კავკასიაში, რაც თანაბრად

საჭიროა ჩვენი ხალხი და რუსეთისათვისაც; და ეს იქნება საუკეთესო საშუალება ყოველივე გარეშე ძალის, ამიერ-კავკასიის საქმეებში ჩასარევის აღსაკვეთად.

მომეცით ნება ამავე დროს, მოქალაქე სახალხო კომისარო, დაგარწმუნოთ ჩემს ღრმა პატივისცემაში და თქვენდამი გულწრფელობაში.

საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი **გერასიმე მახარაძე.**

22 ნოემბერი, 1920 წ.

—

ჩიჩერინის მიმართვა რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში.

მუშათა რუსეთის რევოლიუციონურ წითელ არმიის განსაკუთრებულმა გმირობამ და თავგანწირვამ ბოლო მოუღო ვრანგელის კონტრ-რევოლიუციონურ ხროვათა მხეცურ აქტებს. რუსეთის მშრომელ მასის უძლეველმა წყრომამ გაანადგურა მისი ყოფილ დამონავებელთა უკანასკნელი ნაშთები. ეხლა რუსეთის ხალხისთვის გახსნილია გზა ახალი სოციალური წყობილების მშვიდობიან აღმშენებლობისა და მისი ცხოვრებისა და შრომის ძირითადი გარდაქმნისა; მაგრამ მუშათა რევოლიუციის ულმობელ მტრებს არ სძინავთ და მსოფლიო რეაქცია ამზადებს ახალ მახინაციებს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ხელი შეუშალოს რუსეთის მასას მთელის არსებით ხელი მოკიდოს მშვიდობიან შრომას. ისინი ხელაბლად სცდილობენ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას მძიმე ჭრილობები მიაყენონ. ანტანტის ოფიციალურმა რადიო-სადგურმა მთელ მსოფლიოს აუწყა იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა მთავრობები იხილავენ საკითხს ბათომის სამხედრო ძალებით ოკუპაციის შესახებ და რომ ეს მთავრობები ფიქრობენ გაგზავნონ თავიანთი ესკადრები და ქვეითა ჯარები, საქართველოს ამ დიდ ნავთსადგურის, ამ. ახლო აღმოსავლეთის კარების დასაკავებლად. წინადაწინვე ანტანტის პრესა ავრცელებდა პროვოკაციულ ცრუ ხმებს, თითქოს თათრები ემზადებიან დაანგრიონ და გაანადგურონ სომხეთი ან საქართველო სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთის საბჭოთა მთავრობა თავის შუამდგომლობას შესთავაზებდა როგორც ოსმალეთს, ისე სომხეთს და როცა ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ეს შუამდგომლობა და შეაჩერა თავისი ჯარების შეტევა.

ზავი და თვითეულ ერის თვითგამორკვევის უფლება, როგორც წინათ, დღესაც არის მუშათა-გლეხთა რესპუბლიკის ლოზუნგი და საბჭოთა მთავრობის მისწრაფებათა მიზანი როგორც ახლო აღმოსავლეთში ისე სხვა ქვეყნებში ზავის დამყარება ისევე, როგორც ყველა ხალხთა მშვიდობიანი განვითარება. მაგრამ მსოფლიო რეაქციას არ სძინას და თანდათან განაგრძობს თავის საქმეს. ანტანტის მთავრობებს განზრახული აქვთ ახალი სისხლის ღვრა გამოიწვიონ და მთელ თავიანთ ძალღონეს მიმართავენ როგორც ახლო აღმოსავლეთში ისე მუშათა დიდი რესპუბლიკის სხვა ფრონტებზე ომისა და სასაკლაოს გასაგრძელებლათ. ანტანტის მიერ ბათომში სამხედრო გემებისა და ქვეითა ჯარების გაგზავნა ნიშნავს იმას, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა ავანტიურის წიგნში იწერება ახალი ფურცელი და ამტკიცებს იმას, რომ მსოფლიო რეაქცია არ უარყოფს მიდრეკილებას მუშათა კლასის საქმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბათომში ანტანტის გენერლებისა და ადმირალების გამოჩენით მთელი საქართველო მათ ძალა-უფლების ქვეშ მოექცევა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა იქნება უბრალო ხმა, მოკლებული ყოველივე რეალურ მნიშვნელობას. ამ რიგათ შეიქმნებოდა ანტანტის რეაქციონურ მთავრობის სამხედრო ავანტიურის ახალი ბაზა და მათი მჭრელი ხმლები დაემუქრებოდა საბჭოთა მთავრობის მოკავშირე ადერბეიჯანის რესპუბლიკას და ბაქოდან მთელ სამხრეთ რუსეთისათვის ძლიერი მუქარა იქნებოდა. ბათომი, როგორც სამხერდრო ბაზა ანტანტის იმპერიალიზმისა, გადიქცეოდა ახალ ფრონტად საბჭოთა მთავრობისათვის სამხრეთში, რის შედეგათ მთელი კავკასია ცეცხლში გაეხვეოდა. ანტანტის მთავრობათა აგენტებს, რომელნიც თავიანთ ოქროების წყალობით არევ დარევას აწარმოებენ ძველი სოციალურ წყობილების მომხრეებში, მოყვება ჯარი, რომელიც გაანადგურებდ ხალხის რევოლიუციონურ მონაპოვარს, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა იჩქარონ ადერბეიჯანის მოძმეების დასახმარებლათ და ხელახლად მიმართონ თავიანთ ძალ-ღონეს სასტიკ ბრძოლაში იმპერიალისტების თავდასხმის წინააღმდეგ. ჩვენ ხელახლად მოუწოდებთ ძმურ დახმარებისაკენ ანტანტის მშრომელ მასას, რომლის ძლიერი ხმა ეხლაც ძირშივე მოსპობს ყოველგვარ ინტრიგებს. ჩვენ გულწრფელად იმედს გამოვსთქვამთ, რომ ანტანტის მუშათა კლასის ძლიერი ჩარევა ხელს შეუშლის იმპერიალიზმის ახალ გეგმის შესრულებას და დაგვეხმარება ახლო აღმოსავლეთში დავამყაროთ და განვახორციელოთ ზავი და თვითგამორკვევა ყველა ხალხთათვის, ის მიზანი, რომლისათვის იბრძვის საბჭოთა მთავრობა.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

მოსკოვი, 18 ნოემბერი, 1920 წელი.

(ბრიტანეთის მისიის ცნობა)

ბრიტანეთის საგ. საქმ. მინისტრის ბ-ნ კერზონის პასუხი.

1920 წლის ნოემბრის 19 დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა მოსკოვში ჩიჩერინის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „საბჭოთა მთავრობამ ძალიან კარგად იცის, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმ ხმებს, თითქოს ბრიტანეთის სამხედრო ძალები ფიქრობდენ ბათომის ოკუპაციას. ამგვარი ხმების გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ პროპაგანდის გაწევის მიზნით.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა კერზონმა ნოემბრის 24 მოსკოვში ჩიჩერინის სახელზე გააგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: მიუხედავათ იმისა, რომ ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული ის ხმები, თითქოს ბრიტინეთის, ან სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა მთავრობებს მიზნათ ქონდეთ ბათომის ოკუპაცია და ამის გამო საბჭოთა მთავრობის მიერ განმეორებული შეკითხვები და პროტესტები გვაფიქრებიენენ რომ ეს ადგილი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ტერიტორიის ნაწილს შეადგენს, საფრთხეში იმყოფება; ამიტომ მისი უმაღლესობის მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს საბჭოთა მთავრობისაგან სათანადო რწმუნება იმისა, რომ საბჭოთა მთავრობის მიმართ არ არსებობს რაიმე ეჭვი, რომ თვით იმასა სურს ბათომის ოკუპაცია.

უცხოეთი

(საინფორმაციო განყ. ცნობები).

ძვირფასი ქვების გაყიდვა

„ტანი" იუწყება: „ლოკალ-ანციაგერის" ცნობით ბერლინში მყოფ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს ვიკტორ კოპს ბერლინში გაუყიდია 9 მილიონ მარკამდე ღირებული ძვირფასი ქვები. აღებული ფული გადაეცა საბჭოთა დელეგაციის ხაზინადარს, რომელსაც ებრძანა ეს ფული პროპაგანდის საჭიროებისათვის დაიხარჯოს.

აჯანყება ყუბანში.

„ტანი" აქვეყნებს ჰელსინგფორსიდან მიღებულ წერილს ყუბანში მომხდარ ახალ აჯანყების შესახებ. აჯანყებული ყაზახები საუკეთესოდ არიან შეიარაღებული. აჯანყებულებს ხელმძღვანელობს ყუბანელი ყაზახი კრიჟანოვსკი.

ინგლისი და ბელგია.

საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ერსვორტმა განაცხადა: არც საფრანგეთსა და არც ბელგიას წინადადება არ მიუციათ ინგლისისათვის, რომ მას მონაწილეობა მიეღო საფრანგეთ-ბელგიის ხელშეკრულების დადებაში. დიდ ბრიტანეთს დღემდის არ მიუღია ცნობები ამ შეთანხმების პირობების შესახებ. ინგლისისა და ბელგიის ურთიერთი დამოკიდებულება კვლავ ძველებურია.

რუსეთის ოქრო.

შვეიცარიის პრესა იუწყება: სტოკოლმში მეორეჯერ ჩამოიტანეს საბჭოთა რუსეთიდან გამოგზავნილი ოქროს ფული, ფიქრობენ, რომ საბჭოთა რუსეთიდან შვეიცარიაში ოქრო გადაგზავნილი იქნება დაახლოვებით 400.000 გირ. სტერლინგის ღირებულებისა. დიდძალი ოქრო გაიტანეს აგრეთვე ნორვეგიით. „ტაიმსის" ცნობით რუსეთის ოქროს ერთი ნაწილი გაგზავნილია პოლიტიკური პროპაგანდის მოწყობის მიზნით.

ფრენოსნობა.

„ტაიმსი" იუწყება: მთავრობამ მოიწონა პროექტი ფრენოსნობის უმაღლეს საბჭოს დაარსების შესახებ. საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა სახ. მდივანი. საბჭოში შევიდა ფრენოსნობის შტაბის უფროსი.

„ტაიმსი" იუწყება: გერმანიაში არსებულმა ცეპელინების კომპანიამ დაასრულა ახალი ჰაეროპლანი, რომელიც ყველა არსებულ ჰაეროპლანების ტიპზე უმჯობესი იქნება. ჰაეროპლანის ტიპი—მონოპლანია. საერთოთ გერმანია დიდ ენერგიას იჩენს ახალი საფრენი აპარატების მოწყობის საქმეში.

სომხეთი

— მზრუნველობის სამინისტრომ თხოვნით მიმართა პარლამენტსა რათა გაეხსნას მას 1.580,000 მან. კრედიტი, გაჭირვებულ ლტოლვილთა დასახმარებლათ.

— იმავე სამინისტრომ თხოვნით მიმართა ამერიკის კომიტეტის წარმომადგენელს, რათა დაეთმოს მზრუნველობის სამინისტროს თავშესაფარის ერთ-ერთი შენობა, ან და გაფართოებული იქნას ეჩმიაძინის თავშესაფარის მოქმედება, რათა მოთავსებული იქნას ახალი ობლები. თვით მზრუნველობის სამინისტრომ ორი თავშესაფარი კიდევაც გახსნა ერივანში.

საბჭოთა რუსეთში

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

სიკვდილის რიცხვი.

ოფიციალურ ანგარიშების მიხედვით, რომელიც საზოგადოებრივ ჯანმრთელობის კომისარმა გამოაქვეყნა, საბჭოთა რუსეთში სიკვდილის შემთხვევას ყოველ 1000 კაცზე 25,4 კაციდან (1918 წ.) გაზრდილა 74,9-მდე. დაბადებათა რიცხვი 1917 წ. ყოველ 1000 კაცზე უდრიდა 39,4, ამ ჟამად კი ის რიცხვი ყოველ 1000 კაცზე 12 უდრის. რევოლიუციის პირველ წელს დაბადებათა რიცხვი სიკვდილზე მეტი იყო 50 %; საბჭოთა რეჟიმის არსებობის ამ სამი წლის განმავლობაში სიკვდილის რიცხვი 6-ჯერ მეტია დაბადებათა რიცხვზე.

სამხედრო კაზმულება.

„პრავდა" იუწყება: მოსკოვში შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მოსკოვის გუბერნიაში არსებულ სამხედრო კაზმულებათა გამოძებნა. კომისიამ უნდა გასჩხრიკოს ყველა დაწესებულება და ბინა.

პურის ძებნა.

„ეკონომიჩესკაია ჟიზნი" იუწყება: რადგანაც მოსკოვსა და პეტროგრადში პურის ნაკლები თადარიგია და მეტის მეტად ცოტა პური შემოდის, ამიტომ პურით მდიდარ გუბერნიებს შემდეგი დეპეშა გაეგზავნა: გებრძანებათ მოიკრიბოთ ყველა ძალები და დაუყონებლივ გამოაგზავნოთ მოსკოვსა და პეტროგრადში ორი წყება მატარებელი პურით დატვირთული. თითოეულ მატარებელში 35 ვაგონი უნდა შედიოდეს. პურის საჩქაროთ დატვირთვის ხელმძღვანელობა და პასუხის მგებლობა საგუბერნიო სასურსათო კომისრებს ეკისრება.

დეპეშები

(საქართ. დეპ. სააგენტო.)

ლიონის ცნობები.

ვატიკანთან დამოკიდებულების აღდგენა.

სამშაბათს დეპუტატთა პალატამ დაადგინა აღდგენილ იქმნას დამოკიდებულება ვატიკანთან. მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის მოხსენება პალატამ 375 ხმით 229 წინააღმდეგ უარჰყო პროექტში იმ გვარი შესწორების შეტანა, რომელიც ხელს უშლიდა პაპის ნუნციის პარიზში ჩამოსვლას. პალატამ 397 ხმით 209 წინააღმდეგ მიიღო წარმოდგენილ პროექტის ტექსტი.

ინგლისის ახალი ელჩი პარიზში.

პარიზში დანიშნულმა ინგლისის ახალმა ელჩმა ლორო ჰარდინგსმა სამშაბათს პრეზიდენტს გადასცა თავისი რწმუნებულების ბარათი. ჰარდინგსმა აღნიშნა, რომ 600,000 ინგლისელ ჯარისკაცს სძინავთ საუკუნო ძილით ფლანდრიასა და პიკარდიაში. მან მოიგინა ინგლისის მეფის ედუარდ მე 7 მოგზაურობა საფრანგეთში 1903 წ. რომელსაც თან ახლდა იგიც და როდესაც საფრანგეთ-ინგლისის მეგობრული საფუძველი დაიდო.

ესად ფაშის მკვლელი.

სასამართლომ მოისმინა ესად ფაშის მკვლელობის საქმე. დეფილამ განაცხადა, რომ ესად ფაშის სიკვდილმა ალბანეთში კმაყოფილება გამოიწვიაო. ეს ჩვენება დაადასტურეს სხვა მოწმეებმაც. სიტყვები წარმოსთქვეს პროკურორმა და დამცველებმა, რის შემდეგ ავენიერუსტემის მიერ ჩადენილი მკვლელობა აღიარეს პოლიტიკურ ნიადაგზე მომხდარ მკვლელობად და ბრალდებული გამართლებულად იცვნეს.

დროებითი ზავი ქემალისტებსა და სომხებს შორის.

„ტანის" მიერ მიღებულ ცნობით ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარ მოლაპარაკების შემდეგ სომხეთსა და ქემალისტებს გადაუწყვეტიათ ახალი დროებითი ზავის ჩამოგდება. ვილსონი დათანხმებულა ჩაერიოს სომხეთის საქმეებში სასარგებლოდ. მან გადასცა დეპეშით ერთა ლიგის თავმჯდომარეს, რომ იგი თანახმაა შუამდგომლობა გასწიოს სომხეთსა და ოსმალეთს შორის და მათზე მორალური ზედ გავლენა მოახდინოს.

ქიაზიმ-ბეის განცხადება.

საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენლობასთან მყოფ ბეჭდვითი ბიუროს თანამშრომლის შეკითხვაზე სომხეთის ფრონტის მდგომარეობის შესახებ ქიაზიმ-ბეიმ შემდეგი უპასუხა:

8 ნოემბერს ჩვენ მიერ წარდგენილი პირობები სომხების მიერ არ იყო მიღებული. 12 ნოემბერს სეპუხის ხელმძღვანელობით სომხეთის ბანდები და ჯარისკაცები თავს დაესხენ ჩვენს ნაწილებს და დილეკრის მიდამოებში გამოიჩინეს მხეცური და მკაცრი საქციელი მცხოვრებლებისადმი, ამის შემდეგ ჩვენ იძულებული ვიყავით თავდასხმითვე გვეპასუხნა. შემდეგ მდგომარეობამ ისევ მოლაპარაკება გამოიწვია შეთანხმების მისაღწევად. სომხებმა ახლა კი სავსებით მიიღენ წინანდელი პირობები, დროებით ზავი ჩამოვარდა 25 ნოემბერს, 1920 წ. 6 საათსა და 45 წუთზე, დილით და გაგრძელდება 5 დეკემბრამდე, დილის 6 საათსა 45 წუთამდე. ოსმალთა და სომხების ჯარებმა დაიკავეს ზავით ნაჩვენები პოზიციები. დროებით ზავის ძალით სომხები ვალდებულნი იყვნენ გადაეცათ ჩქარი მსროლელი იარაღები, პულემიოტები, არტილერიას და სხვა საომარი მასალა, მუშა საქონელი, აგრეთვე ლოკომოტივები და ვაგონები. ზემო ჩამოთვლილის გადაცემა დაიწყო 22 ნოემბერს, გუმბრში. ოსმალთა წრეები დადებულ დროებით ზავს შეხვდენ სიამოვნებით, რადგან მათი სურვილია სოხეთი ნახონ თავისუფალი, დამოუკიდებელი.

მოსკოვისა და ანგორის მთავრობების არსებულ დამოკიდებულების შესახებ ქიაზიმ-ბეიმ განაცხადა: „მოსკოვსა და ანგორს მრავალი გაჭირვება და ინტერესი აერთებს; არ მოიძებნება კაცი არც მოსკოვში და არც ანგორაში, რომელიც რაიმე მნიშვნელობას აძლევდეს იმ ცრუ და ყალბ ხმებს, რომელსაც ევროპის ბეჭდვითი ორგანოები ავრცელებენ".

(„სლ.")

ახალი ამბები

✦ **თავდაცვის ფონდის კომიტეტში.** რესპუბლიკის თავდაცვის ფონდის კომიტეტის გამგეობამ ნოემბრის 26 სხდომაზე დაადგინა გამართოს მორიგი სხდომები შაბათობით საღამოს 7 საათ. ყოველ შაბათობით სხვა და სხვა სექციის წევრები ვალდებულნი არიან ჩაბარონ გამგეობას თავიანთ მოქმედების პროგრამა და ანგარიში თავისი მუშაობისა. კომიტეტის მთავარმა გამგეობამ ეროობებს და ქალაქებს დაუგზავნა ინსტრუქციები ადგილობრივად დავდაცვის ფონდის ორგანოების მოწყობის შესახებ.

✦ **დამფუძნებელ კრებაში.** დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა ბათომიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: ქობულეთის რატონის საერთო ყრილობამ მოისმინა რა დამფუძნებელი კრების წევრის ისიდ. ოამიშვილის და ბათომის ოლქის უფროსის მიქაბერიძის მოხსენება რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ, დაადგინა, გამოსთქვას სრული კმაყოფილება მოხსენების გაკეთების გამო და განუცხადოს მთავრობას რომ იგი დაიცავს მას. ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენელების საერთო ყრილობამ დაადგინა აგრეთვე სთხოვოს მთავრობას აპატიოს დატუსაღებულთ ძველი შეცდომები.

✦ **ფინანსიური ცხოვრება.** ტფილისში არსებულმა საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტმა მიმართა ფინანსთა მინისტრს განმარტებითი ბარათით, რომელიც შეეხება ფინანსთა მინისტრის მიერ გამოცემულ განკარგულებას იმის შესახებ, რომ მოკლევადიან სესხის მიმცემმა ბანკებმა თვეში აიღონ საკომისიო არა 12% არამედ 2%. ბანკების წარმომადგენლების კომიტეტმა აღნიშნა, რომ ბანკებს არ შეუძლიათ დაკმაყოფილდნენ საკომისიო 40%

ასეთი რაოდენობით არსებულ არა ნორმალურ ეკონომიურ პირობების გამო. ამიტომ ბანკების კომიტეტი სთხოვს ფინანსთა სამინისტროს გადასინჯოს აღნიშნული განკარგულება. ამასთანავე ბანკების კომიტეტმა მიმართა სავაჭრო სამრეწველო პალატას შუამდგომლობით დახმარების აღმოჩენის შესახებ. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მათ აღუთქვა დახმარების აღმოჩენა.

ტექნიკურ საზოგადოებაში. პარასკევს, დეკემბრის 3, საღამოს 7 საათზე ქართულ ტექნიკურ საზოგადოებაში (ფრეილინის ქუჩა 11) გზათა მიმოსვლის ინჟენერი პრასინსკი გააკეთებს მოხსენებას ბესლან-ქუთაისის კოპიტნარის სუოლტეხილო რკ. გზის იმ გამოკვლევის შესახებ, როლელიც მოხდა 1919-1920 წლის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

საკომერციო ფრენოსნობა. საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოება დაინტერესდა პოლკ. მაჭავარიანის მოხსენებით საქართველოში საკომერციო ფრენოსნობის განვითარების საკითხის შესახებ, და სთხოვა საფრენოსნო გამგეობას წარუდგინოს მას ვრცელი ცნობები ამ საკითხის შესახებ რაც შეიძლება მოკლე ხანში.

სასამართლოს სესიები. საოლქო სასამართლოს საერთო ყრილობამ დეკემბერში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით შემდეგ ქალაქებში დანიშნა სესიები: სილნაღში დეკემბრის 6-დან 10 მდე, თელავში—13-დან 18-მდე და სურამში დეკემბრის 20 დან 25-მდე.

მობილიზაციის ბრწყინვალედ ჩატარება. თანახმად სამხედრო სამინისტროს გენერალურ შტაბის ცნობებისა, ჯარის და გვარდიის წევრთა გამოცხადებული მობილიზაცია ნოემბრის 25 დასრულდა და ისე კარგათ ჩატარებულა, რომ საჭიროზე მეტი რიცხვი გამოცხადებულა.

30.000 ფუთი თხილის გატანის ნებართვა. მთავრობამ ნოემბრის 25 სხდომაზე თანახმად ფინანსთა მინისტრის განცხადებისა დაადგინა მისცეს უფლება საქართველოს კოოპერატივთა კავშირს საზღვარ გარეთ 30.000 ფუთი თხილის გატანისა.

ერთკავშირი და მომარაგება. ერთობათა კავშირის კომიტეტმა აცნობა მომარაგების სამინისტროს, რომ მან მუშათა მაგიდას შემდეგი საქონელი გადასცა: 2000 ფუთი დანაყული მარილი, (ფუთი 800 მ.ნ.) 120 ქიმიურათ გაწმენდილი მარილი. 800 ფუთი საპონი და სხვა. ამ საქონლის სამაგიეროთ ერთკავშირმა მიიღო ზეთი. ამასთანავე ქუთაისში არსებულ საწყობიდან მუშათა მაგიდას გადაეცემა 1000 ცალი თბილი საცვლებისა. ცალი 1000 მანეთად.

რედაქციისაგან.

გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ მოწოდებაში „საქართველოს ხალხს“ საჭირო უოფილა ზოგიერთი მნიშვნელოვან შესწორებების შეტანა: ამისათვის მოწოდებას შესწორებული ტექსტით შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

სამხატვრო ქრონიკა

— პარასკევს, 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა „ლალატი“ მუსიკა იპოლიტოვ-ივანოვისა, ქართულათ გადმოკეთებული ფოცხვერაშვილის მიერ. სიუჟეტი აღებულია ალ. სუმბათაშვილის ცნობილ დრამა „ლალატიდან“. მონაწ.: ალეშკო, კალანდაძე, სარაჯიშვილი, ინაშვილი, ისეკი, კურბატოვი, ორლიუკი, დემიანუკო, ეზროვი. ფასი ჩვეულებრივია, ახალი დეკორაციები და კოსტუმები. დასდგამს წუწუნავა, ბალეტს დასდგამს მ. მორდკინი.

რკინის გზელთა კონფერენცია.

რკინის გზელთა კონფერენციის ყრილობა გაიხსნა რკ. გზ. ცენტრალურ გამგეობის ბინაზე. გამოცხადდა 25 დელეგატი. აქედან 22 გადამწყვეტ ხმით, 3 სათათბირო ხმით. 1 დეკემბრის მოწვეულმა რკინის გზის მუშამოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელთა კონფერენციამ, ყრილობის დღიურ წესრიგის განხილვასთან ერთად მოისმინა მოხსენება სასურსათო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის „კომუნისტ“-ში მოთავსებულ სხვა და სხვა ბრალდებების შესახებ.

მოხსენება კაკეთა სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ათაბეგმა, რომელიც დაწვრილებით შეეხო „კომუნისტ“-ში წამოყენებულ ყველა ბრალდებებს და სათითაოდ დაამტკიცა მათი უნიადაგობა და ფაქტების გადამახინჯება.

საკითხის არსებითად განხილვის დროს კამათში მონაწილეობას ღებულობდა 11 ორატორი. ორატორების დიდი უმრავლესობა „კომუნისტის“ ასეთ გამოლაშქრებაში ხედავს ყრილობის არჩევნებისათვის მზადებას. აღნიშნავენ საერთოდ მუშა-მოსამსახურეთა აუტანელ მდგომარეობას, რომლითაც სურს ისარგებლოს კომუნისტებმა თავის პარტიული სქემების საკეთებლად.

კამათის დასასრულს მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია.

რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელთა კონფერენციამ განიხილა რა დაწვრილებით „კომუნისტი“-ს მიერ წამოყენებული ბრალდებები და სასურსათო კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები დაადგინა: „კომუნისტ“-ში წამოყენებულ ბრალდებებს სარჩულად უდევს ფაქტების გადამახინჯება. „კომუნისტ“-ს არ აღუნიშნავს კომიტეტის მოქმედებაში არც ერთი დაუდევრობის დამამტკიცებელი ფაქტები. მოახლოვებულს ყრილობის არჩევნებში გამარჯვების სურვილით გატაცებული რესპუბლიკის მტრები გაზეთის ფურცლებზედ იფი დემოგოგიის გამოფენით აპირებენ საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე რკინის გზელთა შორის რყევის გამოწვევას. კონფერენცია აღიარებს, რომ ცენტრალური გამგეობის და სბსურსათო კომიტეტის წევრების მოქმედებაში არ ხედავს არავითარ ბოროტებას ან დაუდევრობას და სასურსათო კომიტეტის ახლა განმარტება ამ საკითხზედ სავსებით დამაკმაყოფილებლად მიაჩნია.

მილიციაში

სისხლის სამართლის მილიციის კფროსმა მიიღო საიდუმლო ცნობები, რომ ავლაბრის ქუჩ. სახ. № 1 დამალულია მოპარული ხალიჩა. გაგზავნილმა უფროსმა აგენტმა გულიევმა ხალიჩა აღმოაჩინა და შეიპყრო ქურდი ეკატერინა კორნეს ასული მორგუნენკო აღმოჩნდა, რომ ხალიჩა მოპარულია სასტუმრო იტალიის გამგისაგან პეტრე კარცილაძისაგან, რომელსაც ჩაბარდა ხალიჩა. დაპატიმრებული მორგუნენკოს საქმე გადაეცა სასამართლოს.

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით დაპატიმრებულია გეურქა ალექსის ძე პეპინოვი 11 წლისა, რომელიც სისტემატიურათ წვრილ ქურდობაში იყო შემჩნეული. პეპინოვი გადაეცა ავჭალის მცირე წლოვან ბოროტ-მომქმედთა გამასწორებელ კოლონიაში.

ბანცხადებანი

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დავით ადამის ძე დოდაშვილის სახელზე, დამტკიცებუ- ტფ. უფროსს ნოტარიუსის მიერ 1890 წლ. რეესტრით № 818, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3959 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 84 მიღებული მე-7 კომისარიატიდან პეტროს კარაპეტის ძე გორგაზიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3931 3—3

დაიკარგა სათადარიგო ბილეთი № 1497, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელი ბილეთი ეზეკია კახაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3967 3—2

დაიკარგა პასპორტი № 7426 ელისაბედ ჩახანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3979 3—2

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 3 გრიგოლ ნიკოლოზის ძე კონოვალოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3382 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ვარვარა მარტინის ასული გონდაგსაზოვის სახელზე, მიღებული ბათომში, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3973 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად პავლე სტეფანეს ძე თევდორაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს კეთილ-საიმედო პიროვნების მოწმობა, მიცემული მეორე წყალ გლმა უბნის კომისრისაგან, სთხოვს მპოვნელეს წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 3978 3—2

დაიკარგა განათლების მოწმობა № 15 იოსებ ნანაძის სახელზე, მიღებული ს. დაფნარის სამასწავლებლო სასწავლებლიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს, 3978 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი დომლაურის ამხანაგობის სახელზე ს. ქვენატკოცაში მდებარე მამულის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3980 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა კაპიტონ ბესარიონის ძე როგავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3968 3—2

ქ. ტფილისის მე-15 ტე უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ეფრემ ფარამაზოვის ძე (იგივე ბაღდასარის) ძე ხოჯანურიჯანოვის მემკვიდრეებს, რათა განაცხადონ მათ 1241 მუხ. 10 ტ. 1 ნ. სამოქ. კანონ. დაწესებულ ვადაში თავიანთი უფლება ზემოხსენებულ ხოჯანურიჯანოვის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე. 3914 3—1

დაიკარგა მოწმობა № 5776 პრასკოვია ფოკის ასული ოგნევის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალური საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3996 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი არშაკუნის ბანდში, № 13 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გეორგობიანს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4002 3-1

ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ამით აცხადებს, რომ ახალქალაქის ნოტარიუსის მისაკ სვიმონის ძე მარტიკიანი დათხოვნილია სამსახურიდან თანახმად ნოტარიალურ დებულების მე-16 მუხლისა, მოიწვევს ინ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე მოთხოვნა მის თანამდებობის საწინდარზე, რათა მათ უქვსი თვის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა შემოიტანონ იგი. 1014 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლო ამით აცხადებს, რომ თანახმად ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარის დადგენილებისა ამა წლის 5 ოქტომბრიდან ქ. ზესტაფონის ნოტარიუსი მიხეილ ოტიას ძე გვალია გადაყვანილია იმავე თანამდებობაზე ქ. ფოთში, თანახმად მისი თხოვნისა, 4 ამავე ოქტომბრიდან, ამის გამო ოლქის სასამართლო იწოდებს იმათ, ვისაც სურვილი აქვს ქ. ზესტაფონში დაიკავოს უმცროსი ნოტარიუსის ადგილი და დამაკმაყოფილებელი ნოტ. ნაწ. დებ. მე 5 და 15 მუხ. მოთხოვნილებათა, შემოიტანონ განცხადება ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე; გამოცდა დანიშნულია ა. წ. 27 დეკემბერს დილის 11 საათზე. 867 1—1

დაიკარგა ქალაქ ბიბლიოთეკა თეოფილე ოსიუმეს ძე რამიშვილის მიერ მიცემული ანა ესეს ასული რამიშვილის სახელზე, შედგენილი ნოტარიუს მაჭავარიანთან და შინაური ნასყიდობის ქაღალდი თ. რამიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3951 3—2

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად იორამ იოსების ძე ლოსაბერიძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს პასპორტი და ნუსხა, სთხოვს მპოვნელს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 4020 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ს. ხვანჭკარის (რაჭის მაზრა) თემიდან და ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის უწყება, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან ნიკოლოზ მოსეს ძე ჭარბაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4029 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი ტერ-გუკასოვის ქ. № 19 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის მოგილევსკის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4031 3—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა პელაგია ალექსანდრეს ასული კლიმოვის სახელზე. მიღებული სტავროპოლის ეკლესიიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4037 3—1

დაიკარგა აღმასრულებელი ფურცელი № 958, მიღებული ჩხარის უბნ. მომრიგ. მოსამართლესაგან 1914 წ. თედორე კირკიტაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4025 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული კულაშის თემიდან და ნუსხა, მიღებული ქუთაისის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ისხაკ აბრამის ძე გირილაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4026 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 180 დავით პეტრეს ძე მელიკიანის სახელზე, მიღებული სუხუმის ქალაქის მილიციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4028 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ერვან გუკასის ძე მოსირხანიანცის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4011 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული საჩხერის თემიდან და 60000 მ. კვიტანცია, მიღებული იაშა საღბედოვისაგან შალვა დავითის ძე მეგრელიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4012 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 237 აბელი ზურაბის ძე ელაგაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4021 3—1

დაიკარგა ს. სარგვეშის (შორაპნის მაზრა) ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების მოწმობა № 37 ონიფანტე აბაშიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4025 3—1

კავკასიის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების გამგეობა

თანახმად წესდების 46 მუხლისა აუწყებს ბ-ბ. აქციონერებს, რომ 1920 წ. დეკემბრის 24-ს პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

ტფ. ვაჭართა ბანკის შენობაში დანიშნულია

აქციონერთა საზოგადო კრება

საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლის და დამატების შესახებ.

4048 1—1

ტფილისის საღარაჯო ათასეული

აცხადებს, რომ

ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა) მ.წ. დეკემბრის 5 დილის 11 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

7 დიდი სპილენძის ქვაბის და სამი საწერი მანქანის გასასყიდლათ.

4050 1—1